



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 186

2011 წლის 21 დეკემბერი



ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ~ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის თანდართული პროგრამა საერთო ბიუჯეტით 16600 (თექვსმეტიატასექვსასი) ლარი.

2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლად სპორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა სპორტსმენთა საქართველოს, რეგიონალური და მუნიციპალური დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის მაქსიმალური მხარდჭერა, რაც ხელს შეუწყობს სოფლად ახალგაზრდა სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, სპორტის სხვა და სხვა სახეობების ჯგუფების ჩამოყალიბება და სავარჯიშო პირობების მოწესრიგების ხელშეწყობა.

არსებული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი.

ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხით პროგრამის დაფინანსებას.

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების არეალი და სტრუქტურა.

მოქმედი სპორტული ჯგუფები:

სოფელ ალში _ ქართული ჭიდაობა; (2 ჯგუფი)

სოფელ გომში _ ჭადრაკი; (1 ჯგუფი)

სოფელ ფლევი _ ქართულ ჭიდაობაში; (1 ჯგუფი)

სოფელ ოსიაურში _ ქართული ჭიდაობა; 2 ჯგუფი

სოფელ ცხრამუხაში _ ფეხბურთი; (1 ჯგუფი)

სპორტული მონაცემების მქონე მოზარდების გამოვლენა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში.

მუხლი 4. პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2012 წლის 1 იანვრიდან --- 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა **16600** ლარი. რაც მოიცავს მონაწილეთა შრომის ანაზღაურებას და აუცილებელ სამივლინებო ხარჯებს.

პროგრამის ეფექტურად ამოქმედებისათვის საჭიროა:

- ა) სპეციალისტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის დასახლებებში სოფლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეისწავლიან სპორტული ცხოვრებით დაინტერესებული მოზარდების კონტიგენტს, უზრუნველყოფენ სპორტულ ჯგუფებში მათ გაერთიანებას, განსაკუთრებული სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას, განახორციელებენ სოფლად სპორტის აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას და მათ ორგანიზებას.
- ბ) მწვრთნელ-მასწავლებლები რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებული სოფლების ახალგაზრდებისათვის განახორციელებენ სასწავლო საწვრთნელ მეცადინეობებს სპორტის პოპულარულ სახეობებში.

ხარჯის დასახელება		სულ:
ხელფასი		15600
მივლინება		400
სხვა საქონელი		600
სულ		16600

მუხლი 6. პროგრამის შედეგი.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და სპორტული გამოცდილების შეძენას, სოფლად ახალგაზრდა თაობის სწორ აღზრდას და გაჯანსაღებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.